

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქარქა ჰოლდინგი“

თხევადი საწვავით ავტოგასამართი სადგური

(მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი, ს/კ 72.03.22.628)

სკრინინგის ანგარიში

ქ. თბილისი, 2023 წელი

სარჩევი

შესავალი	2
1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ	4
1.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა	4
1.2 საკანონმდებლო საფუძველი	9
2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა	18
3. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები	21
4 საკანალიზაციო წყლების მართვა	21
5. ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა	22
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში	22
6.1 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე	22
6.2 ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება	25
6.3 ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე	26
6.4 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე	26
6.5 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	28
6.6 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე	28
6.7 ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებზე	28
6.8 ტრანსსასაზღვო ზემოქმედება	29
6.9 მისასვლელი გზები	29
6.10 ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	30
6.11 ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე	30
6.12 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	31
6.13 კუმულაციური ზემოქმედება	31
6.14 შესაძლო ავარიული სიტუაციები	32
7. დანართები	44
დანართი 1. ტერიტორიის გენ-გეგმა	44
დანართი 2. ამონაწერი საწარმოო რეესტრიდან	45
დანართი 3. საკადასტრო ნახაზი	46
დანართი 4. ტერიტორიის არსებული მდგომარეობის სურათები	47
დანართი 5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული რუკა	48
დანართი 6. მიწისპირა კონცენტრაციების გათვლების შედეგები	49

შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქარქა ჰოლდინგი“ გეგმავს მცხეთის რაიონში, სოფელი ნატახტარი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 72.03.22.628, ავტოგასამართი სადგურის მშენებლობას (ბენზინი, დიზელის საწვავი).

ავტოგასამართ სადგურში იგეგმება თხევადი საწვავის (ბენზინი, დიზელის საწვავი) შემოტანა ავტოცისტერნებით და მიწისქვეშა რეზერვუარებში განთავსება და შემდგომ მათი რეალიზაცია ავტომანქანების გამართვისათვის.

საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X=477662.00; Y=4641438.00:

უახლოესი დასახლებული პუნქტი ავტოგასამართი სადგურის განთავსების დაგეგმილი ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 10 მეტრით, სარეზერვუარო პარკიდან 25.149 მეტრით, ხოლო გასამართი სვეტებიდან 35.465 მ-ით.

აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს მის საკუთრებას და წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომლის მთლიანი ფართობია 1532 მ² (იხ. საწარმო რეესტრის ამონაწერი).

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რომელიც ამავე კოდექსის მე-2 დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

ბენზინგასამართის ტერიტორიაზე ასევე განთავსებული იქნება მეხამრიდი, რომელიც სრულად დაფარავს სარეზერვუარო პარკს და ფარდულს სარიგებელი სვეტებით.

დასავლეთ მხარეს ესაზღვრება მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზა.

აღნიშნული ფარდულის ქვეშ უნდა განთავსდეს 2 ცალი საწვავსარიგებელი სვეტი ორი მხრიდან ავტომობილების გამართვის ფუნქციით.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მცხეთაში, სოფელ ნატახტარის ტერიტორიაზე შპს „ქარქა ჰოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების“ მე-8 და მე-9 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 103 - 105-ე მუხლების, შპს „ქარქა ჰოლდინგი“-ს მინდ. პირის ვლადიმერ ცხვიტარიას განცხადების (N 19/342219984-34; 18.07.2022წ;) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილის (N 06/907 12 /08 / 2022 წ.) საფუძველზე. გაიცა ბრძანება:

დამტკიცდეს, სოფელ ნატახტარის ტერიტორიაზე შპს „ქარქა ჰოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი 1

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

№	მონაცემთა დასახელება	დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის
1.	ობიექტის დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქარქა ჰოლდინგი“
2.	ობიექტის მისამართი: ფაქტიური: იურიდიული:	მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი, ს/კ 72.03.22.628 საქართველო, ქუთაისი, წმინდა სამებას ქუჩა, N 4
3.	საიდენტიფიკაციო კოდი	412765529
4.	GPS კორდინატები	X=477662.00; Y=4641438.00
5.	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ტელეფონები: ელ. ფოსტა:	გიორგი ქარქაშაძე ტელ: 595 78-58-38 (მინდ. პირი ვლადიმერ ცხვიტარია) ladotskhvitaria@gmail.com
6.	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე:	დასახლებული პუნქტი საკადასტრო საზღვრიდან 10 მეტრით, სარეზერვუარო პარკიდან 25.149 მეტრით, ხოლო გასამართი სვეტებიდან 35.465 მ-ით.
7.	ეკონომიკური საქმიანობა:	ავტოგასამართი სადგური
8.	გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ბენზინი და დიზელის საწვავი
9.	საპროექტო წარმადობა:	ბენზინი 803 მ ³ /წელ; დიზელის საწვავი 730 მ ³ /წელ.
10.	მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობები:	ბენზინი 803 მ ³ /წელ; დიზელის საწვავი 730 მ ³ /წელ.
11.	მოხმარებული საწვავის სახეობები და რაოდენობები:	-
12.	სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	8760 საათი
13.	სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24 საათი

1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

1.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქარქა ჰოლდინგი“ გეგმავს მცხეთის რაიონში, სოფელი ნატახტარი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 72.03.22.628, ავტოგასამართი სადგურის მშენებლობას (ბენზინი, დიზელის საწვავი).

ტოპოგრაფიული მონაცემების მიხედვით, სამშენებლო მიწის ნაკვეთის ზედა ნიშნულზე არსებული გრუნტის ზედაპირის რელიეფი ძირითადად სწორია, საპროექტო მიწის ნაკვეთი თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან და ხე-ნარგავებისაგან (იხ. დანართში შესაბამისი სურათები).

ტოპოგრაფიული და საკადასტრო გეგმების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის გარე პერიმეტრის მიმდებარედ (სიახლოვეს) განთავსებულია ძირითადად კომერციული და საცხოვრებელი სახლები ერთი და ორ სათულიანი შენობებით.

საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრებში მოქცეულია შპს „საქართველოს მელიორაციას“ კაპიტალში რიცხული, რეგისტრირებული ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-1 გამანაწილებელი. შპს „საქართველოს მელიორაციიდან“ არსებობს შესაბამისი წერილი მიწის ნაკვეთის საზღვრებში მოქცეულია კომპანიის კაპიტალში რიცხული, რეგისტრირებული ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-1 გამანაწილებელი (ს/კ 72.00.610), რომლის გასხვისების ზოლები, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენაგასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“ N19 ბრძანების შესაბამისად შეადგენს არხის ბერმიდან ორივე მხარეს 4-4 მეტრს საექსპლუატაციო გზის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომში მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.22.628) რაიმე სახის მშენებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013წ. N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემის გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას. აღნიშნული შეზღუდვა ასახული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (დატვირთული იქნას სერვიტუტით) (იხ. შესაბამისი წერილი).

ტოპოგრაფიული გეგმა მომზადებულია დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, აზომილი ტერიტორიის კანონმდებლობით დადგენილ კოორდინატთა სისტემაში აბსოლუტური და ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით, მათ შორის იზოჰიფსებისა და პირობითი აღნიშვნების გათვალისწინებით (იხ. ტოპოგრაფიული გეგმა დანართში).

საპროექტო ტერიტორია ძირითადად მდებარეობს განაშენიანების ჩამოყალიბებულ სისტემაში და ჩატარებული ტოპოგრაფიული კვლევის გათვალისწინებით, მიწის ნაკვეთი გამოყენებისა და განაშენიანების სახეობის, განაშენიანების პარამეტრების და შენობა-ნაგებობის განთავსების თვალსაზრისით შეესაბამება განაშენიანების არსებულ გარემოს და არ ეწინააღმდეგება სამეზობლო ინტერესებს.

უახლოესი დასახლებული პუნქტი ავტოგასამართი სადგურის განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 10 მეტრით.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიის ოთხივე მხარეს მდებარეობს საცხოვრებელი სახლები და კომერციული შენობები.

დასავლეთ მხარეს ესაზღვრება მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზა.

ტერიტორიის სიტუაციური სქემა დაცილების მანძილების დატანით მოცემულია სურათზე 1.1.1 ხოლო საწარმოს განთავსების ტერიტორიის დეტალური სიტუაციური სქემა სურათზე 1.1.2.

საწარმოს ტერიტორიის კუთხეთა წვეროების კოორდინატები მოცემულია ცხრილ 1.1.1-ში.

ცხრილი 1.1.1.

#	X	Y
1	2	3
1	477653.76	4641455.93
2	477682.19	4641445.43
3	477701.95	4641435.40
4	477695.00	4641416.59
5	477675.45	4641423.46
6	477672.52	4641413.33
7	477641.41	4641420.96

N გ-749
13/03/2023

749-გ-2-202303131241



**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის
უფროსს ქალბატონ ვენერა მეტრეველს**

ქალბატონო ვენერა,

შპს „საქართველოს მელიორაცია“ (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2023 წლის 21 თებერვლის N21/1123 წერილი და მასზე თანდართული კორესპონდენცია, რომელიც ეხება შპს „ქარქა ჰოლდინგის“ მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატახტარში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.22.628) ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის საზღვრებში მოქცეულია კომპანიის კაპიტალში რიცხული, რეგისტრირებული ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-1 გამანაწილებელი (ს/კ 72.00.610), რომლის გასხვისების ზოლები, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიწნაგასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“ N19 ბრძანების შესაბამისად შეადგენს არხის ბერმიდან ორივე მხარეს 4-4 მეტრს საექსპლუატაციო გზის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომში მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.22.628) რაიმე სახის მშენებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013წ. N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემის გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას. აღნიშნული შეზღუდვა ასახული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (დატვირთული იქნას სერვიტუტით).

ამასთან, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების სამელიორაციო სისტემაში ჩაშვება კატეგორიულად დაუშვებელია.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი



სურათი 1.1.1. სიტუაციური გეგმა



1.2. საკანონმდებლო საფუძველი

სკრინინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად.

ობიექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია) საქმიანობა და შესაბამისად იგი ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში მომზადებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს:

- მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს ამ განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს სამინისტროს მოსაზრებები და შენიშვნები ამ განცხადებასთან დაკავშირებით. სამინისტრო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს, ხოლო შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სამინისტრო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:

- საქმიანობის მახასიათებლები;
- საქმიანობის მასშტაბი;
- არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ნარჩენების წარმოქმნა;
- გარემოს დაბინძურება და ხმაური;
- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა;
- ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- დაცულ ტერიტორიებთან;

- მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი;
- ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

თუ სამინისტრო სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

- სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სამინისტრო უზრუნველყოფს დასაბუთებული სკრინინგის გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მცხეთაში, სოფელ ნატახტარის ტერიტორიაზე შპს „ქარქა ჰოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების“ მე-8 და მე-9 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 103 - 105-ე მუხლების, შპს „ქარქა ჰოლდინგი“-ს მინდ. პირის ვლადიმერ ცხვიტარიას განცხადების (N 19/342219984-34; 18.07.2022წ;) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილის (N 06/907 12 /08 / 2022 წ.) საფუძველზე. გაიცა ბრძანება:

დამტკიცდეს, სოფელ ნატახტარის ტერიტორიაზე შპს „ქარქა ჰოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა: მცხეთა, სოფელი ნატახტარი.

- მესაკუთრე(ები): შპს „ქარქა ჰოლდინგი“ (საიდ. კოდი 412765529)
- განმცხადებელი: ვლადიმერ ცხვიტარია „ქარქა ჰოლდინგი“-ს მინდ. პირი(პ/ნ 01025014054).
- მისამართი: ქ. თბილისი, საშა იოსელიანის #59. ბ.22.
- საპროექტო ობიექტი: ბენზინგასამართი სადგური;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები I. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:

· საკადასტრო კოდი: 72.03.22.628 დაზუსტებული ფართობი: 1532 კვ.მ.

· დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო;

ქალაქთმშენებლობითი ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე:

- ფუნქციური ზონა: შერეული ზონა (შზ)

- სამშენებლო ქვეზონა: ცენტრის ზონა (შზ-2)

II. მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების ძირითადი მოთხოვნები

1. სამშენებლო განვითარების მიზანი

· საპროექტო ობიექტი: ბენზინგასამართი სადგური;

· ფუნქცია/დანიშნულება: კომერციული;

2. განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		0,5	კოეფიციენტი
კ-2		0,0	კოეფიციენტი
კ-3		0,2	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		-	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	-	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		10	მეტრი
შენიშვნა		-	

3. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა:

1. განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზი: -----

2. განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: -----

· სამეზობლო მიჯნის ზონა 3 (სამი) მეტრი

· კონკრეტული წესები იხილეთ “საქართველოს მთავრობის სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ და საქართველოს მთავრობის 2019 წლის

3 ივნისის N 261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებში“;

III. დამატებითი / სპეციალური მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობების) სამშენებლო განვითარების მიმართ:

1. ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობა:-----

2. განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრების რეგულირება: -----

3. ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება:

- მიწის ნაკვეთი საკადასტრო საზღვრებში საჭიროა კეთილმოეწყოს გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური მაჩვენებლის დაცვით;

- მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან ამოძირკვა(ამოღება)-გადარგვის (გარდა ხილ-კენკროვანი ნარგავებისა) აუცილებლობის შემთხვევაში, მიღებულ იქნას შესაბამისი ნებართვა მცხეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურისგან

- გამოიყოს ტერიტორია სამეურნეო ნარჩენების, ბუნკერების განსათავსებლად;

- გათვალისწინებული იქნას რელიეფის და განაშენიანების ხასიათი ბუნებრივ ლანდშაფტთან მათი თანაფარდობა და ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საინჟინრო ქსელი;

- პროექტით გათვალისწინებულ იქნას ძირითად სატრანსპორტო ქსელთან მყარი კავშირები;

- ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნორმატიული პარამეტრების მქონე შიდა სატრანსპორტო ქსელით, ტრანსპორტის, ფეხმავალთა გადაადგილებისა და სახანძრო-საავარიო მომსახურებისათვის;

- პროექტის დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციების (წყალსადენის, კანალიზაციის ქსელების და ელ.მომარაგების ქსელის)რეაბილიტაცია;

- მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე მოჭრილი მიწის სასარგებლო ფენა დასაწყობებულ იქნას ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე.

კერძოდ, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით **834.34222663 (23/09/2022)** დადგინდა ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობის დადგენა (იხ. ქვემოთ).



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება: 34. 342310819
თარიღი: 18/04/2023

განცხადების ნომერი: 3423083108-03
განცხადების თარიღი: 24/03/2023

მიწის ნაკვეთი(ებ)ი/ობიექტი(ებ)ი

მიწის ნაკვეთი(ებ)ი/ობიექტი(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :72.03.22.628
- მისამართი : მცხეთა , სოფელი ნატახტარი

განმცხადებელი-ფაქტუა : ვლადიმერ ცხვიტარია
პირადი ნომერი : 01025014054

მისამართი : თბილისი ალექსანდრე (ხაშა) იოსელიანის ქ. N 59 ბ. 22

ნომენკლატურა : ქალაქვეფმარტა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა / მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება /

მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რევიზიები

- დადგენილი გაპის ნომერი : 34.34222663
- დადგენილი გაპის თარიღი : 2022-09-23 00:00:00

„მცხეთა, სოფელ მისაქციელის ტერიტორიაზე შპს „ქარტა პოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 სექტემბრის # 34.34222663 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, და მოქალაქე ვლადიმერ ცხვიტარიას (შპს „ქარტა პოლდინგი“-ს მინდ. პირი) განცხადების (N 3423083108-03 - 24.03.2023წ) საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთა, სოფელ მისაქციელის ტერიტორიაზე შპს „ქარტა პოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ბენზინგასამართი

სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 სექტემბრის # 34.34222663 ბრძანებაში კერძოდ: ბრძანების სათაურსა და ტექსტში მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა მცხეთა, სოფელი მისაქციელის ნაცვლად მიეთითოს მცხეთა, სოფელი ნატახტარი.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. # 17).

დამიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ტელ: (+995 32) 2 51 32 00 3300, მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7
3300, MTSKHETA, ANTIOKIA STR. N7 EMAIL: INFO@MTSKHETA.GOV.GE



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.34222663
თარიღი:23/09/2022

მცხეთა, სოფელ მისაქციელის ტერიტორიაზე შპს „ქარქა პოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების“ მე-8 და მე-9 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“, „საქართველოს სიერცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 103 - 105-ე მუხლების, შპს „ქარქა პოლდინგი“-ს მინდ. პირის ვლადიმერ ცხვიტარიას განცხადების (N 19/342219984-34; 18.07.2022წ;) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილის (N 06/907 12 /08 / 2022 წ.) საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს, სოფელ მისაქციელის ტერიტორიაზე შპს „ქარქა პოლდინგი“-ს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

- მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა: მცხეთა, სოფელი მისაქციელი
- მესაკუთრე(ები): შპს „ქარქა პოლდინგი“ (საიდ. კოდი 412765529)
- განმცხადებელი: ვლადიმერ ცხვიტარია „ქარქა პოლდინგი“-ს მინდ. პირი(პ/ნ 01025014054)
- მისამართი: ქ. თბილისი, საშა იოსელიანის #59. ბ.22.
- საპროექტო ობიექტი: ბენზინგასამართი სადგური;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები

I. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:

- საკადასტრო კოდი: 72.03.22.628
- დაზუსტებული ფართობი: 1532 კვ.მ.
- დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
- ქალაქთმშენებლობითი ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე:

· ფუნქციური ზონა: **შერეული ზონა (შზ)**

- სამშენებლო ქვეზონა: **ცენტრის ზონა (შშ-2)**

II. მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების ძირითადი მოთხოვნები

1. სამშენებლო განვითარების მიზანი

- საპროექტო ობიექტი: **ბენზინგასამართი სადგური;**
- ფუნქცია/დანომრულება: **კომერციული;**

2. განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		0,5	კოეფიციენტი
კ-2		0,0	კოეფიციენტი
კ-3		0,2	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		-	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	-	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		10	მეტრი
შენიშვნა		-	

3. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა:

1. განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზი:
2. განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი:

· სამეზობლო მიწის ზონა 3 (სამი) მეტრი

· კონკრეტული წესები იხილეთ "საქართველოს მთავრობის სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში" და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებში“;

III. დამატებითი / სპეციალური მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობების) სამშენებლო განვითარების მიმართ:

1. ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობა:
2. განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრების რეგულირება:
3. ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება:

· მიწის ნაკვეთი საკადასტრო საზღვრებში საჭიროა კეთილმოწყობის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური მაჩვენებლის დაცვით;

· მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან ამოღობვა(ამოღება)-გადარგვის (გარდა ხილ-კენკროვანი ნარგავებისა) აუცილებლობის შემთხვევაში, მიღებულ იქნას შესაბამისი ნებართვა მცხეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურისგან

· გამოიყოს ტერიტორია სამეურნეო ნარჩენების,ბუნკერების განსათავსებლად;

· გათვალისწინებული იქნას რელიეფის და განშენიანების ხასიათი ბუნებრივ ლანდშაფტთან მათი თანაფარდობა და ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საინჟინრო ქსელი;

· პროექტით გათვალისწინებულ იქნას ძირითად სატრანსპორტო ქსელთან მყარი კავშირები;

· ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნორმატიული პარამეტრების მქონე შიდა სატრანსპორტო ქსელით, ტრანსპორტის, ფეხმავალთა გადაადგილებისა და სახანძრო-საავარიო მომსახურებისათვის;

· პროექტის დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციების (წყალსადენის, კანალიზაციის ქსელების და ელ.მომარაგების ქსელის)რეაბილიტაცია;

· მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე მოჭრილი მიწის სასარგებლო ფენა დასაწყობებულ იქნას ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე.

· მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების მოქმედების ვადა ბრძანების გამოცემიდან ანუ მისი დამტკიცებიდან 3 (სამი) წელი - სანებართვო წარმოების მეორე სტადიის დაწყებამდე.

· პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში გათვალისწინებულ იქნას: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილში (N 06/907 12 /08 / 2022 წ.) მითითებული პირობები.

· **მშენებლობის ნებართვის მისაღებად განაცხადის შეტანამდე აუცილებელია აღნიშნულ მიწის ნაკვეთს შეეცვალოს დანიშნულება, სასოფლო-სამეურნეოდან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებად.**

4. მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობის უზრუნველყოფა:

· ნებართვის გაცემის თითოეულ სტადიაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილ იქნას შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

· კონკრეტული წესები იხილეთ „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესსა და პირობებში“ და “საქართველოს მთავრობის სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში”.

IV. ზოგადი მითითებები და რეკომენდაციები:

1. არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს:

· 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკური რეგლამენტი. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასის დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-პატრონობაზე (რომლის მოთხოვნებიც გათვალისწინებულ იქნეს საჭიროებისამებრ). (ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან)

· ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო კომუნიკაციების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში – დაცულ იქნეს სამშენებლო ნორმები; მათი გადატანის საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინო იქნეს ცნობა/თანხმობა შესაბამისი სამსახურებიდან/მესაკუთრისგან;

· ტერიტორიის გამწვანება;

· გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;

· ხანმედეგი და კარგი გამომსახველობის სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალები;

· კონკრეტული წესები იხილეთ „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესსა და პირობებში“ და “საქართველოს მთავრობის სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში”.

2. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოსადგენ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნეს:

· მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე (საჭიროების შემთხვევაში);

· არსებობის შემთხვევაში იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე;

· მშენებლობის ორგანიზების პროექტის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, მშენებლობის ეტაპების ხანგრძლივობის გათვალისწინებით;

· მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდა მოხდეს:(საპროექტო ობიექტის განაშენიანების ფართობის მიხედვით) მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 იანვრის N 3 დადგენილების მიხედვით;

ა) მე-2 კლასის საცხოვრებელი სახლი, მე-2 კლასის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

შენობა-ნაგებობები, გარდა სათბურისა -2(ორი) ლარი; სათბური -1(ერთი) ლარი.

ბ) მე-2 კლასის კომერციული დანიშნულების ობიექტები, მე-3 კლასის საცხოვრებელი სახლი და სხვა დანარჩენი-3(სამი) ლარი.

გ) ხაზობრივი ნაგებობა(გარდა პირველი კლასისა)-ახალაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისთვის 1(ერთი) ლარი“.

· საინფორმაციო დაფის (ბანერის) შესაბამისად განახლება და ფოტოფიქსაცია (გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან).

· საინფორმაციო დაფის (ბანერის) შესაბამისად განახლება და ფოტოფიქსაცია (გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან).

· კონკრეტული წესები იხილეთ „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესსა და პირობებში“ და “საქართველოს მთავრობის სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა #17).

დირექტორი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი



2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ქალაქი მცხეთა, სოფელი ნატახტარი (საკადასტრო კოდი № 72.03.22.628) წარმოადგენს, შპს „ქარქა ჰოლდინგი“-ის კუთვნილ 1532 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთს.

აღნიშნულ მიწისნაკვეთზე დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის (ბენზინი-დიზელი) მშენებლობა.

ტერიტორიაზე დაგეგმილია საოპერატორო შენობის, საწვავ-სარიგებელი ფარდულის და სარეზერვუარო პარკის მშენებლობა. საოპერატორო შენობა, წარმოადგენს ერთსართულიან ბლოკით ნაშენებ კაპიტალურ შენობას, ალუმინის შავი ფერის ვიტრაჟებით, სადაც უნდა განთავსდეს მომსახურე პერსონალის სამუშაო ოთახი (საოპერატორო) მენეჯერის კაბინეტი და სველიწერტილი.

ფარდული: ლითონის კონსტრუქციის ნაგებობა, რომელიც შეფუთულია სარეკლამო მასალებით ალუკაბონდის მოსაპირკეთებელი ფილით და შუქგამტარი პლასტიკით,

აღნიშნული ფარდულის ქვეშ უნდა განთავსდეს 2 ცალი საწვავსარიგებელი სვეტი ორი მხრიდან ავტომობილების გამართვის ფუნქციით.

საწვავსარიგებელი სვეტები განთავსებულია ბეტონის დეკორატიულ კუნძულზე, რომელიც არის 15სმ სიმაღლის, ასევე ფარდულის გადახურვის კონტურის შიგნით ბეტონის საფარზე უნდა მოეწყოს წყალშემკრები არხი, სადაც არ მოხდება წვიმის წყალი, აღნიშნული არხი დაერთებული იქნება მიწაში განთავსებულ სალექარ გამწმენდ მოწყობილობა სეპარატორთან, სადაც მოხდება საწვავის დაგროვება დაღვრის შემთხვევაში.

ტერიტორიაზე ასევე უნდა განთავსდეს სარეზერვუარო პარკი, აღნიშნული პარკი წარმოადგენს ბეტონის მიწისქვეშ განთავსებულ სარკოფაგს, რომელშიც უნდა განთავსდეს 2 ცალი ლითონის თითო 60 მ³ მოცულობის (ჯამში 120 მ³) საწვავისთვის გათვლილი ცისტერნა. აღნიშნული ცისტერნა იქნება გადატიხრული, რომ მოხდეს სხვადასხვა პროდუქტების შენახვა, ერთი რეზერვუარი: (ბენზინი რეგულარის 40 მ³ და ბენზინი პრემიუმი 15 მ³ და ბენზინი სუპერი 5 მ³) მეორე რეზერვუარი (დიზელი 40 მ³ და ევროდიზელის 20 მ³)

ბეტონის სარკოფაგზე მოეწყობა დეკორატიული ღობე, რომ არ მოხდეს უკონტროლოდ სარეზერვუარო პარკში მოხვედრა. სარეზერვუარო პარკი შევსებული იქნება ინერტული მასალით ღორღით. რეზერვუარების გარღავინებზე მოეწყობა სასუნთქი სარქველები და საწვავის მიმღებ გამცემი გაყვანილობა, ასევე დამონტაჟდება ელ, ტუმბოები რეჟეკეტები, რომლებიც საწვავისთვის განკუთვნილი ორკედლიანი პოლიეთილენის მილსადენით (რომლის შიდა მხარე დაფარული იქნება ანტისტატიკური ფენით) მიაწვდიან საწვავსარიგებელ სვეტებს რეზერვუარიდან საწვავს.

სარეზერვუარო პარკი აღიჭურვება ვერტიკალურად ჩაშვებული მილებით, რომლის დახმარებითაც გაკონტროლდება ხომ არ ხდება საწვავის ცისტერნიდან გაჟონვა, აღნიშნული მილები დაცული იქნება წვიმის წყლის მოხვედრისგან სპეციალური ხუფებით. მილები მოეწყობა სარეზერვუარო პარკში თავში და ბოლოში დიაგონალზე 2 ცალი. ასევე სარეზერვუარო პარკის მომიჯნავეთ გათვალისწინებულია ავტოცისტერნის სადგომი მოედანი, აღნიშნულ მოედანზე მოწყობილია წყალშემკრები არხი, რომელიც ტერიტორიაზე განთავსებულ სალექართან (სეპარატორთან) არის

მიერთებული და ავტოცისტერნიდან საწვავის დაღვრის შემთხვევაში საწვავი ვერ მოხვდება ღია წესით ბუნებაში.

ასევე უნდა მოეწყოს ავტოცისტერნის სადგომი მოედნის ტერიტორიაზე დამიწების დასაერთებელი დანადგარი, ავტოცისტერნის დასამიწებლად გამოყენებული იქნება დამიწების სპეციალიზირებული მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად შეწყვეტს რეზერვუარის შევსების პროცესს ან ჩართავს ხმოვან სიგნალს დამიწების გაუმართავობის შემთხვევაში. (СП. 156 13130, п. 7.35).

ელექტრო მოწყობილობებისათვის უნდა განთავსდეს ტერიტორიაზე ცენტრალიზირებული გათიშვის სისტემა, СП. 156 13130, п. 7.36 მოთხოვნის შესაბამისად.

რეზერვუარის მონტაჟი, სარკოფაგის შევსება ინერტული მასალით განხორციელდება ტიპური პროექტის და СП. 156 13130. 2014 ნორმების მიხედვით, ხოლო რეზერვუარი და ტექნოლოგიური მილსადენი უნდა დამუშავდეს ГОСТ 9.602-2016 -ის («Единая система защиты от коррозии и старения. Сооружения подземные. Общие требования к защите от коррозии») მიხედვით.

ტექნოლოგიურ მილსადენზე გათვალისწინებულია დეაირაციის დასაერთებელი ხაზი, რომელიც ამ ეტაპზე იქნება ჩაკეტილი სფერული ვენტილით, რაც საშუალებას მოგვცემს საჭიროების შემთხვევაში ორთქლის რეციკულაციის სისტემის მიერთებისა.

ტექნოლოგიური მილსადენის ნავთობპროდუქტებისათვის, მიწისქვეშა განთავსება დასაშვებია არხის გამოყენების გარეშე, ვინაიდან გამოყენებული იქნება ორ კედლიანი პოლიეთილენის მილები ნათელი ნავთობპროდუქტებისათვის განკუთვნილი, შიდა ანტისტატიკური ფენით.

საპროექტო ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, რომ გადის სარწყავი არხი, საიდანაც ავტოგასამართის ტექნოლოგიური ნაწილი მოშორებულია მინიმუმ 4 მეტრით, მაინც გათვალისწინებულია ტერიტორიაზე 50 მ³ მოცულობის მიწისქვეშა სახანძრო წყლისთვის განკუთვნილი რეზერვუარის განთავსება, საიდანაც შეძლებს სახანძრო მანქანა წყლის მარაგის შევსებას.

ასევე ესკიზის მიხედვით დატოვებულია კვ კოეფიციენტით გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო გამწვანების ფართი, ხოლო დანარჩენი ტერიტორია უნდა დაბეტონდეს.

ტერიტორიაზე მოეწყობა აქტიური მეხამრიდი და დამიწდება ელ. კარადა, ფარდულის, საოპერატოროს გადახურვა, სარეზერვუარო პარკი, საწვავსარიგებელი სვეტები. ავტოგასამართ სადგურზე დაგეგმილია დამონტაჟდეს ორი ცალი საწვავსარიგებელი სვეტი, გზიდან პირველივე სვეტზე გვექნება 2 პროდუქტი, ავტომობილის ორივე მხრიდან გამართვის ფუნქციით: დიზელის და ევრო დიზელის საწვავი ხოლო მომდევნო სვეტზე იქნება ბენზინი-პრემიუმი, ბენზინი რეგულარის და ბენზინი სუპერის საწვავი (სვეტის ორივე მხარეს).

ობიექტის კლასი განისაზღვრა 3 კლასი. პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი ერთერთი ნორმით (СР 156.13130.2014 СТАНЦИИ АВТОМОБИЛЬНЫЕ ЗАПРАВочНЫЕ)

